



## დამოუკიდებელი ინსპექტორის

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 02 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №1/19-2

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- და -- -- 2019 წლის 03 იანვრის №-- საჩივრისა და 2019 წლის 04 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 05 მარტის №96/1-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ №-- და №-- საჩივრების შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 04 აპრილს.

#### 1. საჩივრების ავტორების მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრების ავტორები მიუთითებენ, რომ მოსამართლემ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული და მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

#### 2. საჩივრების საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 18 მარტს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, -- --, -- --, -- --, -- -- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- სამსახურის მიმართ და მოითხოვა -- --, -- ქუჩა №-- მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებებში, ცვლილების რეგისტრაციის შესახებ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- სამსახურის 2009 წლის 14 სექტემბრის №-- გადაწყვეტილების ნაწილობრივ (გადაფარვის ნაწილში) ბათილად ცნობა, --, -- ქუჩა №-- მდებარე -- კვ.მ ფართის უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: --) -- -- და -- -- საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ჩანაწერების ბათილად ცნობა, საკადასტრო ნახაზთან ერთად. ასევე მოითხოვა, მოპასუხის დავალდებულება საჯარო რეესტრში დაარეგისტრიროს მოსარჩელეთა კუთვნილი ფართი და იშუამდგომლა ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად -- -- და -- -- ჩართვის თაობაზე.

-- -- სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- სარჩელი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- სამსახურის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის თაობაზე, მიღებულ იქნა

სასამართლო წარმოებაში და მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმულ იქნა --- და ---. --- სასამართლოს 2015 წლის 07 მაისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე, ---, ---, ---, --- და --- სარჩელისა გამო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს --- სამსახურის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის თაობაზე, განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

--- სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით 2015 წლის 27 ოქტომბერს, 12 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოძახებული იქნა შპს „—“ სპეციალისტი (--) ---. --- სასამართლოს 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინებით 2015 წლის 24 ნოემბერს, 10 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოძახებული იქნა შპს „--“ სპეციალისტი (--)---. --- სასამართლოს 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა საინჟინრო - ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა ---; ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე შეჩერდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

--- სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის განჩინებით მესამე პირი --- შეიცვალა სათანადო მხარით ---, რომელიც საქმეში ჩაბმული იქნა მე-3 პირად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

--- სასამართლოს 2016 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილებით --- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ---, --- ქუჩა №-- მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს --- სამსახურის 2009 წლის 14 სექტემბრის №-- გადაწყვეტილება, გადაფარვის/ზედდების ნაწილში, საჯარო რეესტრის მიერ 2015 წლის 10 მარტს შესრულებული, ზედდების ამსახველი ნახაზის შესაბამისად; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს --- ოფისს დაევალა, ამ გადაწყვეტილებაში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად შესაბამისი გადაწყვეტილების გამოცემა (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), --- და --- მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო განაცხადზე, ---, --- ქუჩა №-- მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ, საჯარო რეესტრის 2015 წლის 10 მარტის ზედდების ამსახველ ნახაზში ასახული, გადაფარვაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილში.

2.2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს --- 2016 წლის 14 სექტემბერს, ხოლო --- და --- 2016 წლის 13 სექტემბერს. --- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 11 იანვრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ---, ---, --- და --- სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა --- სასამართლოს 2016 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილება.

2.3. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა 2017 წლის 16 მაისს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს --- საკასაციო საჩივარი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ---, --- და --- საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით ---, --- და --- და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს --- ოფისის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა --- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 იანვრის განჩინება.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრების ავტორების მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავ ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. მოსამართლე შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლეთა მიერ, მაისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე.

### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრების ავტორების მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს

მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 04 აპრილის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- და -- -- 2019 წლის 03 იანვრის №-- საჩივრისა და 2019 წლის 04 იანვრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გადაწყვიტა:**

-- -- და -- -- №-- და №-- საჩივრებზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, განჩინებების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**